პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-------

ქ. ოზურგეთი -- თებერვალი 2021 წელი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა :**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,ვებგვერდი 03/12/2019; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.113.016402) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მერია შედგება 9 სტრუქტურული ერთეულის – სამსახურისა (ტექსტში შემდგომში – „სამსახური“) და 30 სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის – განყოფილებისგან (ტექსტში შემდგომში – „განყოფილება“).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-104-ე მუხლების თანახმად, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იწყება რეორგანიზაციის პროცესი, რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის (განყოფილების) ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა/შერწყმა, შტატების გადაადგილება სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის და მიიღება ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა.

პროექტით იცვლება დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, კერძოდ მცირდება განყოფილებათა რაოდენობა ნაცვლად 31 განყოფილებისა იქნება 30 განყოფილება.

4. პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

5. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

6. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2021 წლის ------.